თსუ რექტორის 2015 წლის 29 ივლისის N 126/01-01 ბრძანების საფუძველზე ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტთა საუნივერსიტეტო დაფინანსებისათვის კანდიდატთა შერჩევის წესი

1. სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის (შემდგომში ფაკულტეტი) დოქტორანტთა საუნივერსიტეტო დაფინანსება ითვალისწინებს ფაკულტეტის დოქტორანტურაში სწავლის ყოველსემეტრულ (ერთი სემესტრის განმავლობაში) დაფინანსებას შერჩევის საფუძველზე დოქტორანტის აკადემიური შედეგების გათვალისწინებით.

2. ყოველ სემესტრში თსუ რექტორის 2015 წლის 29 ივლისის №126-ე ბრძანებისა და ფაკულტეტის საბჭოს მიერ დამტკიცებული წინამდებარე წესის საფუძველზე დასაფინანსებლად შეირჩევა არაუმეტეს 5 დოქტორანტისა.

3.საუნივერსიტეტო დაფინანსებისათვის კანდიდატთა შერჩევას ახორციელებს ფაკულტეტის სადისერტაციო კოლეგია.

4. დაფინანსების მისაღებად ყოველი სემესტრის დასაწყისში ფაკულტეტის დეკანის ბრძანებით ცხადდება კონკურსი, რომელშიც მონაწილეობის უფლება აქვთ ფაკულტეტის I-VI სემესტრის დოქტორანტებს, რომლებსაც აქვთ თსუ რექტორის №126 ბრძანებით განსაზღვრული სამეცნიერო პუბლიკაციის სახეობათა ჩამონათვალიდან („სამეცნიერო-კვლევითი პროდუქციის კლასიფიკაცია“) რომელიმე ტიპის პუბლიკაცია და რომელთა GPA არ არის 3.00-ზე ნაკლები (გარდა პირველსემესტრელი დოქტორანტებისა)

5. კონკურსში მონაწილეობას ვერ მიიღებენ:

- დამატებითი სემესტრის დოქტორანტები;
- დასაფინანსებელ სემესტრში სტატუსშეჩერებული დოქტორანტები;
- დოქტორანტები, რომლებსაც სრულად არ აქვთ დაფარული წინა სემესტრის სწავლის საფასური;
- დოქტორანტები, რომლებსაც სწავლის საფასური ან მისი ნაწილი უფინანსდებათ საგრანტო პროექტის ფარგლებში;
- დოქტორანტები, რომელთა სწავლის საფასურს აფინანსებს რომელიმე ორგანიზაცია ან ფონდი;
- დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის მიზნებით გათვალისწინებული აქტივობების ნებისმიერი სახის დაფინანსების (მათ შორის საგრანტო) მქონე დოქტორანტები.

6. კოლეგია ვალდებულია კანდიდატთა შეფასებისას დაეყრდნოს რექტორის №126 ბრძანების დანართი №1-ით განსაზღვრულ კლასიფიკაციას (დანართი №1) , სადაც სამეცნიერო-კვლევითი პროდუქციის სახეობა რიგითი ნომრის მიხედვით მოცემულია რანჟირებულად, რეიტინგის კლებით.

7. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად დოქტორანტმა ფაკულტეტის კანცელარიაში უნდა წარმოადგინოს შემდეგი საბუთები:

1) განაცხადი კონკურსში მონაწილეობის შესახებ (დანართი №2);
2) ავტობიოგრაფია (CV);
3) სამეცნიერო პუბლიკაციების სია (დანართი №3)
4) სამეცნიერო ხელმძღვანელის შუამდგომლობა, რომელშიც უნდა მიეთითოს დოქტორანტის მიერ მიღებული სამეცნიერო შედეგები, მიმდინარე სამეცნიერო კვლევები და სადოქტორო ნაშრომის დასრულების სავარაუდო გრაფიკი.
5) ცნობა სტუდენტის სტატუსის შესახებ;
6) ამონაწერი სტუდენტის ბარათიდან GPA-ის მითითებით (გარდა პირველსემესტრელი დოქტორანტებისა)

8. კოლეგია საჭიროების შემთხვევაში უფლებამოსილია:

ა. კანდიდატს მოსთხოვოს დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენა ან დაიბაროს ის გასაუბრებაზე;

ბ.მოიწვიოს შესაბამისი დარგის ექსპერტი;

ბ.მოიწვიოს დოქტორანტის ხელმძღვანელი დამატებითი ინფორმაციის მისაღებად.

9. კოლეგია ვალდებულია კანდიდატთა შერჩევისას იხელმძღვანელოს თსუ რექტორის 2015 წლის 29 ივლისის N 126/01-01 ბრძანების საფუძველზე, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს მიერ დადგენილი წესით.

10. საუნივერსიტეტო დაფინანსებისათვის ფაკულტეტიდან შერჩეულ კანდიდატთა სია წარედგინება თსუ-ს რექტორს შესაბამისი ბრძანების გამოსაცემად.

დანართი N1

სამეცნიერო-კვლევითი პროდუქციის კლასიფიკაცია

N	სამეცნიერო-კვლევითი პროდუქტის სახეობა
1	– მაღალ-რეიტინგული რეცენზირებული (საერთაშორისო რეცენზირების მქონე Peer-reviewed) სამეცნიერო მონოგრაფია უცხო ენაზე (მათ შორის ლექსიკოგრაფიული, წყაროთმცოდნეობითი, ტექსტოლოგიური კვლევების ამსახველი მონოგრაფია), რომელიც ინდექსირებულია Scopus, SCImago Journal & Country Rank, ResearchGate-ის მიერ.
	– იმპაქტ-ფაქტორის მქონე სამეცნიერო სტატია, რომელიც ინდექსირებულია ტომსონ როიტერის Web of Science-ის მიერ
	- სამეცნიერო სტატია გამოქვეყნებული ჟურნალში, რომელიც აღიარებულია ERIH-ის (European Reference Index of the Humanities) მიერ
2	– სტატია, რომელიც ინდექსირებულია ტომსონ როიტერის Web of Science, Scopus, SCImago Journal & Country Rank, ResearchGate-ის მიერ.
	- სტატიები/თავები წიგნში, საკონფერენციო მასალებში ან კრებულში, რომლებიც ინდექსირებულია ტომსონ როიტერის Web of Science-ის ან Scopus-ის საკონფერენციო მასალების ციტირების ინდექსით
	– ქართულენოვანი ან სხვა ენაზე შესრულებული, რეცენზირებული (რეცენზირების მქონე Peer-reviewed) მონოგრაფია (მათ შორის ლექსიკოგრაფიული, წყაროთმცოდნეობითი, ტექსტოლოგიური კვლევების ამსახველი მონოგრაფია).
3	- რეცენზირებული (Peer-reviewed) სამეცნიერო სტატიები სხვა საერთაშორისო ჟურნალებში*, რომლებსაც აქვთ ISSN კოდი და ჰყავთ საერთაშორისო სარედაქციო საბჭო, ასევე რომლებიც ვრცელდება საერთაშორისო მასშტაბით და არის ღია საერთაშორისო კონტრიბუციისთვის.
	- სამეცნიერო სტატიები, რომლებიც ინდექსირებულია Google Scholar-ში.
	- ქართველოლოგიური სამეცნიერო მიმართულებებისთვის რეცენზირებული სამეცნიერო სტატიები გამოქვეყნებული ქართულ სამეცნიერო ჟურნალებში*, რომელთაც ჰყავთ ადგილობრივი სარედაქციო საბჭო და აქვთ ISSN კოდი.
	- სტატიები/თავები წიგნში, საკონფერენციო მასალებში ან კრებულში, რომლებიც ინდექსირებულია Google Scholar-ში.
4	- საკონფერენციო თეზისები, ინდექსირებული ტომსონ როიტერის Web of Science- ის ან Scopus-ის მიერ.
	- საკონფერენციო თეზისები, ინდექსირებული Google Scholar-ის მიერ.
5	- გამოქვეყნებული პუბლიკაცია ქართულ ენაზე ქართულენოვან სამეცნიერო ჟურნალებში
6	- გამოქვეყნებული პუბლიკაცია ქართულ ენაზე ქართულენოვან სამეცნიერო-პოპულარულ ჟურნალში.

- საქართველოში გამოცემული სამეცნიერო პუბლიკაციების შემთხვევაში, შესაძლებელი უნდა იყოს კონკრეტულ პუბლიკაციაზე უნივერსიტეტის მოთხოვნის არსებობისას რეცენზიების წარმოდგენა.

დანართი № 2

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა
ფაკულტეტის დეკანს, ბატონ რამაზ ბოჭორიშვილს

დოქტორანტის გვარი, სახელი _____

პირადი ნომერი (პირადობის მოწმობის მიხედვით) _____

სადოქტორო პროგრამა _____

სემესტრი (შემოხაზეთ) I II III IV V VI

სამეცნიერო ხელმძღვანელი _____

განცხადება

გთხოვთ, მიიღოთ ჩემი საბუთები 2015-2016 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში დოქტორანტურაში სწავლისათვის საუნივერსიტეტო დაფინანსების მოსაპოვებლად. წარმოდგენილი დოკუმენტების ჩამონათვალი:

1. ავტობიოგრაფია (CV);

2. სამეცნიერო პუბლიკაციების სია;

3. სამეცნიერო ხელმძღვანელის შუამდგომლობა;

4. ცნობა სტუდენტის სტატუსის შესახებ;

5. ამონაწერი სტუდენტის ბარათიდან GPA-ის მითითებით.

დოქტორანტის ხელმოწერა _____

ტელეფონის ნომერი _____

ელ.ფოსტა _____

თარიღი _____

ჩავიბარე _____

დოქტორანტის სამეცნიერო პუბლიკაციების სია

სამეცნიერო-კვლევითი პროდუქციის კლასიფიკაცია

№	სამეცნიერო-კვლევითი პროდუქტის სახეობა	დოქტორანტის მიერ წარმოდგენილი სამეცნიერო ნაშრომი/ები (მიუთითეთ სათაური, გამოცემის წელი, ადგილი, ჟურნალის/კრებულის დასახელება, გვერდები) არსებობის შემთხვევაში ელექტრონული მისამართი
1	– მაღალ-რეიტინგული რეცენზირებული (საერთაშორისო რეცენზირების მქონე Peer-reviewed) სამეცნიერო მონოგრაფია უცხო ენაზე (მათ შორის ლექსიკოგრაფიული, წყაროთმცოდნეობითი, ტექსტოლოგიური კვლევების ამსახველი მონოგრაფია), რომელიც ინდექსირებულია Scopus, SCImago Journal & Country Rank, ResearchGate-ის მიერ.	
	– იმპაქტ-ფაქტორის მქონე სამეცნიერო სტატია, რომელიც ინდექსირებულია ტომსონ როიტერის Web of Science-ის მიერ	
	- სამეცნიერო სტატია გამოქვეყნებული ჟურნალში, რომელიც აღიარებულია ERIH-ის (European Reference Index of the Humanities) მიერ.	
2	– სტატია, რომელიც ინდექსირებულია ტომსონ როიტერის Web of Science, Scopus, SCImago Journal & Country Rank, ResearchGate-ის მიერ.	
	– სტატიები/თავები წიგნში, საკონფერენციო მასალებში ან კრებულში, რომლებიც ინდექსირებულია ტომსონ როიტერის Web of Science-ის ან Scopus-ის საკონფერენციო მასალების ციტირების ინდექსით	
	– ქართულენოვანი ან სხვა ენაზე შესრულებული, რეცენზირებული (რეცენზირების მქონე Peer-reviewed) მონოგრაფია (მათ შორის ლექსიკოგრაფიული, წყაროთ-მცოდნეობითი, ტექსტოლოგიური კვლე-ვების ამსახველი მონოგრაფია).	

3	– რეცენზირებული (Peer-reviewed) სამეც- ნიერო სტატიები სხვა საერთაშორისო ჟურნალებში*, რომლებსაც აქვთ ISSN კოდი და ჰყავთ საერთაშორისო სარედაქ- ციო საბჭო, ასევე რომლებიც ვრცელდება საერთაშორისო მასშტაბით და არის ღია საერთაშორისო კონტრიბუციისთვის.	
	– სამეცნიერო სტატიები, რომლებიც ინდექსირებულია Google Scholar-ში.	
	– ქართველოლოგიური სამეცნიერო მიმარ- თულებებისთვის რეცენზირებული სა- მეცნიერო სტატიები გამოქვეყნებული ქართულ სამეცნიერო ჟურნალებში*, რო- მელთაც ჰყავთ ადგილობრივი სარედაქ- ციო საბჭო და აქვთ ISSN კოდი.	
	– სტატიები/თავები წიგნში, საკონფერენ- ციო მასალებში ან კრებულში, რომლებიც ინდექსირებულია Google Scholar-ში.	
4	– საკონფერენციო თეზისები, ინდექსირებული ტომსონ როიტერის Web of Science- ის ან Scopus-ის მიერ.	
	– საკონფერენციო თეზისები, ინდექსირებული Google Scholar-ის მიერ.	
5	– გამოქვეყნებული პუბლიკაცია ქართულ ენაზე ქართულენოვან სამეცნიერო ჟურნალებში	
6	– გამოქვეყნებული პუბლიკაცია ქართულ ენაზე ქართულენოვან სამეცნიერო- პოპუ- ლარულ ჟურნალში.	